151
1940

ოქტომბრელი

№9 1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

წელიწადი მეცამეტე
სექტემბერი № 9
1940 წ.
გამოქვეყნებულია ეროვნული ბიბლიოთეკა
გამომცემლობა „კომუნისტი"
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-61

საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო
„Октомбрели" журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

შინაარსი

		გვ.
1.	ილია სიხარულიძე, — გურამიკოს დარდი (ლექსი)	1
2.	ნიკოლოზ ნაგრელი, — დიდი ოჯახის ახალი წევრები (ნარკვევი)	2
3.	გიორგი კაჭახიძე, — გმირის მოლოდინში (ლექსი)	4
4.	ილო მოსაშვილი, — კიკნას თავგადასავალი (პოემა)	5
5.	დავით შამათავა, — ირემი (ზღაპარი)	7
6.	ანდრო თევზაძე, — ჩვენი სკოლა (ლექსი)	11
7.	იოსებ იმედაშვილი, — ზარმაცი (პიესა)	11
8.	მიხ. მამულაშვილი — პეტრე ბაგრატიონი (ნარკვევი)	14
9.	ნინო ტყეშელაშვილი, — კაკლის ხე (მოთხრობა)	გარეკანის მე-3 გვ.
10.	ვანო მათიაშვილი — ხვალ თუ ომი იქნება (ლექსი)	გარეკანის მე-4 გვ.
11.	სტეფანე არღუთელი, — ოქტომბრელის სიმღერა (ლექსი)	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის მხატვრობა ეკუთვნის — დონს

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჯიჯინაძე პასუხისმგებელი მდივანი: ანდრო თევზაძე

გადაეცა წარმოებას 29/VIII 1940 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX 40 წ. ფორმათა რაოდენობა 22-გვ. 9½×14

უე—755 ტირ. 10.800 შეკვ. № 1055 პოლიგრაფკომბინატი სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28

გურამიკოს დარდი

ილია სიხარულიძე

გურამიკოს სწავლა უნდა,
სულ ჩანთაში აწყობს წიგნებს,
სკოლაში თვით წავიდოდა,
მაგრამ გზას რომ ვერ გაიგნებს?!
შინ როდემდის უნდა იჯდეს,
ბიჭს აწუხებს სწავლის დარდი,
გურამმა რა დააშავა,
სკოლაში თუ ეველა დადის!
დედას ჰკითხავს:—მე სკოლაში
როდის, როდის მიმაბარებ?
—მალე, შვილო, ოღონდ ცოტა
გაიზარდე კიდევ ბარემ!
—რა ვქნა, რად ვერ გავიზარდე,
განა არ ვარ უკვე დიდი?!
დათვლა ვიცი: ერთი, ორი,
სამი, ხუთი, ათი, შვიდი;
ლექსებსაც ხომ კარგად ვამბობ
და შენ თხოვნას არ მისრულებ".
გურამიკო ქართულ ლექსებს
რუსულ წიგნში აბულბულებს.
ხატვაც იცის: აი, წიწილს
თავთან ფესი გამოაბა,
ფრთები ისე გაუკეთა,
გეგონება სწორედ კაბა.
ჭო და, რა ქნას გურამიკომ,
ბიჭს აწუხებს სწავლის დარდი,
ამან რაღა დააშავა,
სკოლაში თუ ეველა დადის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოჯახის ახალი წევრები

ნიკოლო ნაგრელი

თქვენ, პატარა ბავშვებო, ალბათ გაგიგონიათ ბალტიისპირა ქვეყნები: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. ყველა ესენი ბალტიის ზღვის ნაპირებზე მდებარეობენ და ამიტომ ჰქვიათ ბალტიისპირა ქვეყნები.

ამ ცოტა ხნის წინათ ამ ქვეყნებში მეტად დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: მშრომელმა ხალხმა დიდი საბჭოთა კავშირის დახმარებით დაამხო ბურჟუების ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ახლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებია.

განთავისუფლებულმა მშრომელმა ხალხმა ჩვენს საყვარელ სამშობლოს თხოვნით მომართა: მიგვიღეთ თქვენს კავშირში. გასულ თვეში უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ დააკმაყოფილა ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი ხალხის შუამდგომლობა — სამივე რესპუბლიკა მიიღო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ისინი მიღების დღიდანვე გახდნენ დიდი ოჯახის ახალი სრულუფლებიანი წევრები, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკები.

ამნაირად ჩვენს უზარმაზარ სამშობლოს კიდევ ახალი ძალა შეემატა.

იცით, მერე, როგორი არიან ახალი წევრები?

მათგან ყველაზე უფრო დიდი, მცხოვრებთა რაოდენობით, არის ლიტვა. აქ ორ მილიონ რვაას ოთხმოცი ათასი სული ცხოვრობს. ყოველ ას კაცში ოთხმოცდახუთი ლიტველია, დანარჩენი კი სხვა ეროვნებისა: რუსები, ებრაელები, პოლონელები...

ხალხი აქ მეტწილად სოფლებში ცხოვრობს.

ლიტვის დროებითი დედაქალაქი გასულ თვემდე კაუნასი იყო. 1920 წლამდის მას სხვა დედაქალაქი ჰქონდა — ეს იყო ვილნო. მაგრამ სწორედ ამ წელს ვილნო ძალით წაართვეს ლიტვას პოლონელმა დამპყრობლებმა. მხოლოდ გასულ წელს, პოლონეთის დამპალ სახელმწიფოს დაშლასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირმა დაუბრუნა ლიტვას აღნიშნული ქალაქი. ვილნო ახლა ლიტვაში შედის და უკვე ის ითვლება დედაქალაქად.

ძალიან ლამაზი ქალაქია ვილნო. ის სწორედ თვალწარმტაც ადგილას მდებარეობს, ორი კრიალა მდინარის — ვილეიკასა და ვილიას — შესართავთან.

დაახლოებით ორასიათასი სული ცხოვრობს ვილნოში. აქ არის სხვადასხვა კულტურული დაწესებულება, სკოლები, ფაბრიკები, ქარხნები...

ვილნოს შემდეგ ლიტვაში დიდი ქალაქია კაუნასი. კაუნასში დაახლოებით ას ორმოცდაათიათასი კაცი ცხოვრობს.

ვილნოსა და კაუნასს გარდა არის ქალაქები: შაულია, პანევეჟისი, მარიამპოლე და უკმერგე. ამ ქალაქებში არის ტყავეულის, შაქრისა და არყის პატარ-პატარა საწარმოები.

საერთოდ ლიტვა სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. აქ არის სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ბაღები, ტყეები, მდელოები. მიწების უდიდესი ნაწილი უკანასკნელ დრომდის მემამულეების ხელში იყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ დაურიგა გლეხებს უფასოდ მიწა.

გლეხები და ქალაქის მშრომელი მოსახლეობა ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ. ეს სიღარიბე გავლენას ახდენდა სახალხო განათლების მდგომარეობაზე. იმ-

ის გამო, რომ არ ჰქონდათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და წიგნები, ბავშვები ვერ დადიოდნენ სკოლაში. მთელს ლიტვაში მხოლოდ ოცდაშვიდი არასრული საშუალო სკოლა იყო.

ლიტვის ისტორია დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიასთან. საუკუნოებრივ ბრძოლაში ლიტველი, პოლონელი და რუსი მემამულეების წინააღმდეგ ლიტველ ხალხს დახმარებას უწევდა დიდი რუსი ხალხი.

1918 წელს ლიტვაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ლიტვაში მხოლოდ ას სამი დღე იარსება. იგი იმპერიალისტების შეიარაღებულმა ბრბოებმა ჩააღრჩეს სისხლში, იქ ხალხის მტრები გაბატონდნენ, რომლებიც უკანასკნელ დრომდის პარპაშობდნენ.

მეორე ბალტიისპირა ქვეყანა ლატვია ფართობით უფრო მოზრდილია ლიტვაზე, მაგრამ მცხოვრებთა რაოდენობით კი ნაკლებია. აქ დაახლოებით ორ მილიონამდის კაცი ცხოვრობს.

მოსახლეობის უმრავლესობას ლატვიაში ლატვიელები შეადგენენ. შემდეგ მოდიან რუსები, ებრაელები და პოლონელები.

რესპუბლიკის დედაქალაქია რიგა. რიგა ყველაზე მთავარი სავაჭრო-სამრეწველო და კულტურული ცენტრია. აქ არის ქარხნები, ფაბრიკები, უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები...

ქალაქში გადის საუცხოო სანაოსნო მდინარე — დასავლეთი დვინა. საერთოდ ეს მდინარე მთელ ლატვიას ჭრის ორ ნაწილად.

ლიტველი გოგონები ეროვნულ ტანსაცმელში.

ლატვიის მიწის წიაღში მოიპოვება თაბაშირი, ცარცი, დოლომიტი, ტორფი და სხვა მადანი. მრეწველობის ყველა დარგიდან აქ ყველაზე უფრო განვითარებულია კვების მრეწველობა. რესპუბლიკაში ბევრია შაქრის ქარხანა, ზეთსახდელი ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკები. მეორე ადგილი უჭირავს საფეიქრო მრეწველობას.

ლატვიაში წინათ უფრო იყო განვითარებული მრეწველობა, უკანასკნელი წლების მანძილზე დაეცა მრეწველობა და პირველი ადგილი სოფლის მეურნეობამ დაიჭირა, მაგრამ არც სოფლის მეურნეობაა აქ სახარბიელო მდგომარეობაში. ბოლო წლებში მას არავითარი ზრდის ნიშნები არ გამოუჩენია. ეს იმიტომ, რომ მიწების დიდი ნაწილი მემამულეების და კულაკების ხელში იყო, ღარიბ-ღატაკი გლეხობა კი უმიწაწყლოდ იტანჯებოდა.

ლატველი მშრომელი ხალხი დიდხანს იბრძოდა თავისუფლებისთვის. ლატვიის მუშათა კლასმა 1905 წლის რევოლუციაში, დიდი ლენინის თქმით, „ერთ-ერთი პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი“ დაიკავა.

1917 წელს ლატვიაში გაიმარჯვა რევოლუციამ, მაგრამ იგი მალე ჩაახშეს კაპიტალისტებმა.

ერთი წლის შემდეგ კვლავ შეიქმნა აქ დროებითი საბჭოთა მთავრობა, მაგრამ კვლავ დაამხეს საბჭოთა რესპუბლიკა კაპიტალისტებმა და მემამულეებმა.

შემდეგი ბალტიისპირა ქვეყანა არის ესტონეთი. იგი ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ჩრდილოეთით ესტონეთს აკრავს ფინეთის ყურე, დასავლეთით — ბალტიის ზღვა და რიგის ყურე.

ესტონეთი საერთოდ ნახევარკუნძულს წარმოადგენს, მაგრამ იგი ამასთანავე ბევრი პატარაპატარა კუნძულისაგან შედგება. სულ რვაას თვრამეტი პატარა კუნძულია. მათგან ყველაზე დიდია საარემაა, ხიუშაა, მუხუ და ვორმსი.

ესტონეთში ერთ მილიონზე მეტი მცხოვრებია.

რესპუბლიკის დედაქალაქია ტალინი. ტალინში ას ორმოცდაათიათასი სული ცხოვრობს, ესე იგი, იმდენი, რამდენიც კაუნასში. სხვა ქალაქებიდან აღსანიშნავია ტარტუ, ნარვა და პიარნუ.

ქვეყნის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. სოფლის მეურნეობის დარგებიდან ყველაზე წინ დგას მეცხოველეობა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მრეწველობა ძალიან დაეცა. მრეწველობის ზოგიერთი დარგი, მაგალითად, გემთმშენებელი და მანქანათმშენებელი, სრულიად მოისპო, ზოგი კი შესამჩნევად დაქვეითდა.

ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ესტონეთის მშრომელებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება, მაგრამ მალე ესტონელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ევროპის ბურჟუების დახმარებით ჩაახშეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

უკანასკნელ დროამდის ამ სამ ქვეყანაში პარპაშობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი კაპიტალისტები და მემამულეები. ისინი ცდილობდნენ გაეჩაღებინათ ომი და იქიდან ლახვარი ჩაეცათ სოციალიზმის სამშობლოსათვის. მაგრამ ეს არ დასცალდათ საძაგელ მტრებს. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანდნენ.

ამიერიდან ისინი სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად მედგრად წავლენ წინ, უკეთესი, ნათელი მომავლისაკენ.

გმირის მოლოდინში

გიორგი კაჭახიძე

ის ვაჟკაცად დაიბადა,
შუქი ზრდიდა მზის და მთვარის,
დღეს აქ არის, დღეს ამ ქალაქს
დასტრიალებს მისი თვალი.

სიხარულად ჩვენც გვეწვევა
და ნიავით ბალს შეარხევს,
სკოლას ნახავს, გაგვიღიმებს,
გაგვიბრწყინებს გულს და სახეს.

თან გვიამბობს გმირულ ამბებს
გმირთა შორის გმირად მეოფი,
როგორ სჯობდა მტრების ბუნავს
მისი ტევია, მისი თოფი.

უევარს თურმე კაცი მტკიცე,
მუეაითი, მხნე და მარდი.
ნეტავ, როგორ ლაპარაკობს,
როგორ სუნთქავს, როგორ დადის?!

სად არ იყო! ჩვენც გვეწვევა,
საზეიმოდ დროშებს გავშლით,
მოვა გმირი... ცას მისწვდება
ჩვენი ვაშა, ჩვენი ტაში!

ილო მოსაშვილი

კიკნა თავგადასავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება) *)

კიკნა ხედავს: — გზა არა აქვს,
თავსაც კარგავს კუდის გარდა.
მოსწყდა ჭერს და იატაკზე
ბოლოკივით ჩამოვარდა.
გდია ძირს და თვალს არ ახელს,
განაბული უცდის თათებს.
გულში ფიქრობს: „სულ ერთია,
ვერ წაუვალ მაინც კატებს!“
ელის კიკნა,
დიდხანს ელის,
მაგრამ კატა ხმას არ ზრახავს.
ცალ თვალს ახელს, —
მოდი ბარემ
რა კატაა, ახლოს ნახავს.
წევს ნადირი
სახემშვიდი,
იმ კატაზე ასჯერ დიდი,
ფერად-ფერად თათზე თათი
გაუდვია როგორც ხიდი.
წევს და სტუმარს საამებლად
ხან კუდს უქნევს, ხან თავს უწვდის.
კიკნა ფიქრობს: „თუ მტრობა სურს,
მაშ ამდენხანს რაღას უცდის?
არა, კატა არ იქნება,
არც კატების გვარიანი,
კატა მუდამ მსუნაგია,
ავია და შარიანი“.
კიკნა წელში იმართება,
ჭირის ოფლში აღარ ცურავს,
ახლოს მიდის, კუდს უვარცხნის
და ზედ თავის ქათიბს ჰხურავს.
შესწრუწუნებს, სურს გაანდოს
გული ორად გაყოფილი,
და ნადირიც უალერსებს
ამ სტუმრობით კმაყოფილი.

*
* *

ცაში ნელ-ნელ ჩამობინდდა,
ბაღს ეფრქვევა ლურჯი მტვერი,
ხეივნებს და ყვავილნარებს
ეფინება ბინდის ფერი.
ჯერ სიჩუმე ჩადგა ირგვლივ,
ძირს დაეშვა ზეცის ჭერი,
მერე უცხო ხმაურზე და
ჟრიამულზე მიდგა ჯერი.
კიკნა უსმენს განაბული
და გულს ისევ შიში ჰდაღავს,
კედელს იქით რაღაც ბორგავს,
იმას იქით კიდევ რაღაც.
ზოგი ღმუის,
ზოგი ღრინავს,
ზოგი
თათით ურტყამს რკინას,
ზოგი თითქოს დასანგრევად
ემუქრება თავის ბინას.
კიკნა
რამდენს ხედავს თვალით,
რამდენს კიდევ
ჩრდილი ჰფარავს!
იქით სახლი ამართულა,
აქეთ ჭერი უჩანს კარავს.
ზოგან ტბაა,
ზოგან ბორცვი,
ზოგან —
ხის და რკინის ზღუდე,
ბორცვზე ხეა და ხის წვერზე
გულყვითელა ჩიტის ბუდე.
გააოცა კიკნა ბალმა,
ლამის ჭკვიდან გადირია:
ეს სად მოხვდა,
რა მხარეში,
ეს რამდენი ნადირია?!
ღმუილი რომ მიყუჩდება,
დაიწყება ახლა სტვენა.
ერთი ზარის ხმაზე უკრავს,
სხვას სალამურს უგავს ენა.
ჭიკჭიკებენ,
ჟღურტულებენ,
დამტკბარი აქვს ყურთასმენა.

* დასაწყისი იხ. „ოქტომბრელი“, №-8

კიკნა ნატრობს:
„ოხ, ნეტავი
მეც შემეძლოს ასე ფრენა!
რას მიზამდა,
მაშინ თუნდა
შემხვედროდა ათი კატა!“ —
ისევ კატა გაახსენდა
და ნაღველი მოემატა.
დაღლილმა და დაქანცულმა
დარდით გული დაიმძიმა,
ლომის თავზე დადო თავი
და ამ ფიქრში დაიძინა.
უცქერს ლომი,
დიდრონ თვალებს
ხან აანთებს
და ხან ნაბავს,
უცქერს კიკნას და იგონებს
იმ შორეულ თავის ამბავს:
ლეკვი იყო, უდაბნოში
მზე დუღდა და წვავდა ქვიშას,
ლერწმიანში შეჰყვა კვალზე,
ხმით აძლევდა დედა ნიშანს.
ბუღი იდგა, შამბში იწვა,
თონესავით იყო მიწა.
უცებ დედამ დაიქუხა,
შეარყია ქვეყნის ჰერი,
ლეკვი მიხვდა:
ალბათ, ახლოს
შეეფეთა სადმე მტერი.
წამოვარდა,
მისკენ გარბის,
რომ თვითონაც შეხვდეს სამტროს,
თუმც ლეკვია, გული ერჩის,
არ დატოვებს დედას ამ დროს.
გარბის,
ესმის
დედის გრგვინვა,
სხვა ქუხილიც სწვდება კიდეს,
აი უკვე ახლო არის,
დაინახა დედა კიდეც.
მაგრამ
ნეტავ არ ენახა:
შერევია სისხლის მორევს
და უღონოდ ურტყამს მიწას
ტოტებივით მოჭრილ ტორებს.
შელრენაც კი ვერ მოასწრო,
აქეთ-იქით ხელი სტაცეს
და აქლემზე დათოკილი
გაატანეს ვიღაც კაცებს.
და მას შემდეგ რა არ ნახა,
რა ტანჯვა და დარდი ზიდა,
ვიდრე ჩვილი
ლეკვი იყო,
მონადირის ძაღლი ზრდიდა,
ხან თუ ძუძუს აწოვებდა,
ხან ულრენდა, ხანაც ჰკბენდა.
მას წრუწუნას დანახვაზე
ყველაფერი გაახსენდა.
წევს ლომი და ჯავრისაგან
გულმოკლული ნატრობს ტყე-ველს,
სხვა თუ ცხოვრობს როგორც უნდა,
ის რისათვის დაატყვევეს?!
სხვა თუ სუნთქავს
ტყეში,
ტევრში
და აშენებს თავის ბუდეს, —
მან თავი რად შეალიოს
ამ ულმობელ რკინის ზღუდეს!
ორმოც წლამდე ძლივსა ცოცხლობს
და ორმოცსვე აქა სტოვებს,
რა ქნას, როგორ გადაურჩეს
ამ დარდსა და სიმარტოვეს?!
ლომი ზეზე წამოიჭრა,
ვერ გაუძლო გულმა დუღილს,
დაიბღავლა,
დაიგმინა,
ხმას კი არა —
ჰგავდა ქუხილს.
კიკნა წახდა,
განზე გახტა,
იქაც ლომის
გრგვინვა დახვდა.
ძილში ხედავს, ცა დაიქცა,
თუ სიზმარი ცხადად ახდა?
გარბის,
საით? —
არ კითხულობს.
ან ვის ჰკითხოს,
ვინ რას ურჩევს!
მიხტის სკუპით,
სხაპასხუპით,
ოღონდ ამ ხმას გადაურჩეს...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ДАВИТ ШАМАТАВА
ეროვნული ბიბლიოთეკა



(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ტყისმცველი იანვარა. მისი ძველი ქოხიც დაბურული ტყის პირას იდგა. ღარიბი იყო ძალიან. ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალი და ტიტლიკანა ჰყავდა.

ერთხელ, საღამოთი, როცა მზე ტყის იქით მიიმალა, თოფის ხმამ აახმაურა უცებ გარემო და იანვარას ეზოში დაფეთებული, რქანაყარი წაბლისფერი ირემი შემოიჭრა. იანვარამ ქოხის უკან დამალა იგი, ხოლო ჭენებით მომავალ მონადირეს გზა-კვალი აურია.

გვიან, როცა ყველამ დაიძინა, იანვარა წამოდგა და თივის ზვინებისაკენ გაემართა, სადაც ირემი ეგულებოდა. მთვარიანში ირემმა თივის ჭამას თავი მიანება და იანვარას უთხრა:

— დღეს შენ გადამარჩინე სიკვდილს, სიკეთე ქენი და ბარემ გამათავისუფლე, ეგებ გაჭირვების დროს მეც დაგეხმაროო.

დიდად გააოცა იანვარა ირმის ხმამ, რქაზე თოკი შეხსნა და სასწრაფოდ გათავისუფლა იგი.

გავიდა ხანი. ირემი თითქმის დაავიწყდა იანვარას. ერთ ღამეს საშინელი ნიაღვარი მოვარდა მთიდან და იანვარას ქოხი მიწასთან გაასწორა. დაღონდა იანვარა, ბევრი იფიქრა და ბოლოს ირემი მოაგონდა. მოდი, ბედსა ვცდიო, — გაიფიქრა გულში, ცოლს მჭადი გამოაცხობინა, ჩადო გუდაში და გაუდგა გზას. ცხრა მთას იქით ერთ წყაროსთან შემოაღამდა და იქვე წამოწვა ბექობზე. დილას რომ გამოეღვიძა, დაინახა: ვეება დათუნია ბურდღუნამ წყალი დალია და იანვარას შეეკითხა:

— ნათლი, აქეთ საით გაგიწევიაო?

იანვარამ უამბო ირმის დანაპირი. დათუნიამ ასწავლა გზა და უთხრა:

— აქითობისას ჩემთან გამოიარეო.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ ერთ გამოქვაბულს მიადგა იანვარა. ენიშნა: სწორედ ის იყო, დათუნიამ რომ ასწავლა; ჩამოჯდა იქვე ქვაზე და დაუწყო ლოდინი ირემს. ელოდა იანვარა და თან ღიღინებდა თავისთვის:

სადა ხარ, ფიქრი გაგანდო,
სისხლის ცრემლები მდიანო,
ირემო, მთასა მყვირალო,
ირემო ქორბუდიანო!

ბოლოს გამოჩნდა ირემიც. იგი დიდხანს ეალერსებოდა თავის მხსნელს. ჰკითხა იანვარას:

— რა გაგჭირვებიაო?

იანვარამ უამბო ყოველივე. დაფიქრდა ირემი, გამოიძრო რამდენიმე ღერი ბალანი და მისცა.

— შენი ამაგი ჩემთვის დაუფასებელია, მაგრამ სხვა არა გამაჩნია რა, ღარიბი ვარო, — დასძინა ირემმა.

გამოემშვიდობა იანვარა ირემს და წამოვიდა.

წყაროსთან დათუნია გამოეგება. იანვარამ აჩვენა ბურდღუნას ირმის ნაჩუქარი.

— ნათლია, ეგ ძალიან კარგია, — თქვა დათუნიამ, — შინ რომ ნაჯახი გაქვს, პირზე მოუსვი ეს ბალნები და მერე როგორ სახლსაც ეტყვი, ისეთს აგიშენებსო.

გაეხარდა იანვარას, დაემშვიდობა და გამოსწია. შინ რომ მივიდა, ისე მოიქცა,

როგორც დათვმა ურჩია, და ნაჯახს მიმართა:

— ნაჯახო, ჩემო ნაჯახო, უბედური კაცი ვარ, ერთი ოდა ამიშენეო.

დატრიალდა ნაჯახი, მოზიდა მორები, დათალა ფიცრები და საღამომდე შესანიშნავი სახლი წამოჭიმა. გავარდა ხმა იანვარას ოსტატობის შესახებ. იანვარას ოსტატობის ხმამ ბატონის ყურამდეც მიაღწია.

ერთ დღეს მიიხმო ბატონმა იგი და უბრძანა:

— იანვარა, ისეთი სასახლე ამიშენე, რომ მარტო იმისი ჩუქურთმები ღირდეს ზღვათა ხელმწიფის სამეფოდო.

იანვარამ სთხოვა ნაჯახს. დატრიალდა იგი და ააშენა უზარმაზარი შესანიშნავი სრა-სასახლე.

მოვიდა ბატონი, მოეწონა ნამუშევარი, მაგრამ მაინც უყვირა იანვარას:

— ეს რაა, მე როგორ მკადრე ასეთი სახლი, მე სასახლე გითხარიო!

იმართლა იანვარამ თავი, მაგრამ ვერა გააწყო რა. მიზეზიანმა ბატონმა ბრძანა: ამ კაცს ნაჯახი ჩამოართვით და მეორედ არ ვნახო მაგის ლანდი სასახლეშიო.

დაღონდა იანვარა. დაბრუნდა შინ და ცოლს უამბო ყოველივე. ცოლმა უთხრა:

— რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავსო.

შეუდგა იანვარა ძველებურად ტყის დარაჯობას. ერთ წელიწადს სოფელში დიდი შიმშილობა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაღვლიანდა იანვარა. ერთხელ ცოლმა ურჩია: წადი, შენ მეგობარ ირემს მიმართეო. თუმცა ერიდებოდა, მაგრამ მაინც ჭკუაში დაუჯდა ცოლის რჩევა, ჩადო ორი მჭადი გუდაში და გასწია გამოქვაბულისაკენ.

ირემი სიხარულით შეეგება იანვარას. ბოლოს ირემმა ჰკითხა:

— მაინც რა გაგჭირვებიაო?

იანვარამ უამბო ყველაფერი. დაფიქრდა ირემი, მოგლიჯა იქვე ერთი ბღუჯა ბალახი, მიაწოდა იანვარას და უთხრა:

— შენი ამაგი ჩემთვის დაუფასებელია, მაგრამ სხვა არა გამაჩნია რა, ღარიბი ვარო.

გამოემშვიდობა იანვარა და წამოვიდა. ნაცნობ წყაროსთან იანვარას დათუნია შეხვდა. იანვარამ ირმის ნაჩუქარი აჩვენა ბურდღუნას.

— ნათლიჯან, ეგ ძალიან კარგია, მომეცი!—აიღო ბალახი, ჩაყარა გუდაში და თქვა:

— გუდა, ჩემო კარგო გუდა! ხომ იცი, დათუნიას რა უყვარსო?

გუდა თაფლით აივსო. მიადგა დათუნია და ხვრიპა და ხვრიპა. კარგად რომ გამოიბრუჟა, იანვარას უთხრა:

— ნათლი, ჩაუთქვი გუდას, რასაც ისურვებ, გაგიჩენსო.

გაოცებულმა იანვარამ წაიბუტბუტა:

— გუდა, ჩემო გუდა, ცოტა რამ მაჭამეო.

უცებ მწვანეზე სუფრა გაიშალა. მოდის და მოდის ხაჭაპურები, ნაზუქები, დედლები. დაჯდა იანვარა და მაგრად მიაძღა.

ბოლოს კმაყოფილი იანვარა დაემშვიდობა დათუნიას და გამოსწია უკან. კვლავ გამხიარულდა იანვარას ოჯახი.

იმავე სოფელში ერთი მღვდელი იყო, რომელსაც ერთობ გაუმაძღარი ცოლი ჰყავდა. საიდღანაც ქალს გაეგო იანვარას სასწაულმოქმედი გუდის შესახებ.

ერთ დღეს ავადმყოფობა მოიგონა მღვდლის ცოლმა. სხვა არაფერი მიშველის, თუ არა იანვარას სასწაულმოქმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუდაო. ადგა თვით მღვდელი და მივიდა იანვარასთან. რას იზამდა იანვარა, კეთილი კაცი იყო, ათხოვა გუდა. მეორე დღეს იანვარა მივიდა მღვდელთან გუდის წამოსაღებად, მაგრამ იანვარას მღვდელი გაუჯავრდა:

— რას მიქვიან, გლეხო, გუდა როდის მოგიცია ჩემთვისო.

დაღონდა იანვარა, მხოლოდ ეს აკვირვებდა, ღვთის მორწმუნე მღვდელი ტყუილს რომ კადრულობდა.

გავიდა ხანი. კვლავ შიმშილმა დაისადგურა იანვარას ოჯახში. ბოლოს კვლავ გადაწყვიტა იანვარამ ირემთან წასვლა. ირემი ჩვეულებრივი სიხარულით შეეგება და ბოლოს ჰკითხა:

— რა გაგჭირვებიაო?

იანვარამ მოახსენა ყოველივე.

— შენი ამაგი ჩემთვის დაუფასებელია, მაგრამ სხვა არა გამაჩნია რა, ღარიბი ვარ, — თქვა ირემმა და იანვარას ძველი ჩლიქი გადასცა. მადლობა გადაუხადა იანვარამ და გამოსწია.

წყაროზე კვლავ დათუნია დახვდა.

— ნათლიჯან, ეგ ძალიან კარგია, სახლში პირჩამოტეხილი ჯამი რომ გაქვს, შიგ ეგ ჩლიქი ჩადე და შემდეგ შეეხვეწე დაგეხმაროსო.

გამოემშვიდობა იანვარა დათუნიას და გამოსწია:

მართლაც ისე მოიქცა, როგორც დათუნიამ ურჩია, და წაიბუტბუტა:

— ჯამო, ჩემო ჯამო, მიშველე რამეო.

გაოცდა იანვარა, ჯამი ოქროს ფულით აივსო. კვლავ გამხიარულდა იანვარას ოჯახი.

ქალაქში ერთი ცბიერი ჩარჩი მელიქაღა ცხოვრობდა.

ერთ საღამოს, როცა საშინლად წვიმდა, იანვარას ეზოს მგზავრი მოადგა.

— ღმერთი გიშველით, ღამე გამათევინეთ, ამ ქარ-სეტყვაში გარეთ დავრჩიო.

ჩინებულად გაუმასპინძლდა იანვარა მელიქ-აღას. დილით სტუმარი გამოემშვიდობა მასპინძელს.

რამდენიმე ხნის შემდეგ იანვარამ სასწაულმოქმედი ჯამი მოიკითხა, მაგრამ სახლში ვერ იპოვა. ცოლმა უთხრა:

— ნამდვილად იმ წურბელა მელიქაღამ დაგვლუპა, წადი, ეგებ მოფერებითა და ტკბილი სიტყვით გამოვაწყოთ რამეო.

ადგა და გაეშურა იანვარა ქალაქში.

— რა გაგჭირვებია, იანვარაჯან, ფული ხომ არ გინდა გასესხო სარგებელში?! — გაუღიმა მასპინძელმა.

— არა, ბატონო, ერთი პირჩამომტვრეული ჯამი მქონდა სახლში და დამეკარგა, თქვენ ხომ არ წამოგიღიათო.

გაბრაზდა მელიქ-აღა, შეყარა ხალხი, ყვიროდა:

— ჩემისთანა პატიოსან და სახელოვან კაცს ეგ ყურმუსაღი ჯამის ქურდობას სწამებსო!

მოვიდა მამასახლისი და იანვარა დაპატიმრა.

დიდხანს იჯდა საპატიმროში იანვარა. ბოლოს, როგორც იყო, გაათავისუფლეს. დაბრუნდა ბეჩავი შინ და ცოლს უთხრა:

— არ ყოფილა ჩვენი საშველი და ეგაო.

— რას იზამ, ბევჯერ მითქვამს, ყოველივე მდიდრების ხელშია, ხოლო ძალა კი აღმართს ხნავსო. მოდი და ერთხელაც წადი შენ მეგობარ ირემთანო.

ადგა იანვარა, აიღო ხელში სახრე და გაუდგა ნაცნობ გზას. ირემმა ჩვეულებრივ ჰკითხა:

— რა გაგჭირვებიაო?

მოახსენა ყოველივე იანვარამ. აიღო ირემმა რქის ჩამონატეხი და მისცა თავის მოამაგეს.

მადლობა გადაუხადა იანვარამ და გამოსწია.

წყაროსთან კიდევ დათუნია დახვდა.

დათვმა თქვა:

— ამ საჩუქარსაც არა უშავსო.

გამოართვა იანვარას სახრე, გაუსვა და გამოუსვა ირმის რქის ნატეხი. ამ დროს მელია მოცუნცულდა წყაროსთან.

— გამარჯობა, ბიძა, - მიესალმა იგი დათვს.

— მოდი აქ, შე წუწკო, — ამ გლეხს შენ ქათმები მოჰპარე, ხომ მართალია?!

— არა, ბიძა, ჩემ დღეში არ ვყოფილვარ მაგათ სოფელში!

იცრუა მელიკომ.

— მაშ, კარგი, — აბურდღუნდა დათუნია. — სახრე, ჩემო სახრე, ეგ მელა წუწკია, მოდი მისცხეო.

დატრიალდა სახრე, დასცხო და დასცხო მელიკოს. აწრიპინდა ქათმების ქურდი. როცა დათვმა და იანვარამ გული იჯერეს სიცილით, ბურდღუნიამ ბრძანა:

— კარგი, ჩემო სახრე, ეხლა ეყოფა.

სახრე გაჩერდა და მელიკომ თავს უშველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოსვლისას დათვმა უთხრა იანვარას:

— წადი და ვისი ჯავრიც გაქვს, ამ სახრით ამოიყარეო.

პირველად ბატონთან მივიდა იანვარა. ბატონმა მედიდურად გადმოხედა სასახლის აივნიდან და ჰკითხა:

— რა გინდა, გლეხუჭა?!

— ბატონო ჩემო, მე რომ სასახლე აგიშენე, რად დაიწუნეო?

— შარზე ხარ?! იმად, რომ ბატონი ვარ და შენისთანა გლეხუჭების შრომა არაფრად მიღირსო.

— მაშ კარგი, — თქვა იანვარამ, ჩამოიღო მხრიდან სახრე და უთხრა: ეგ ბატონი რეგვენია, მისცხე მაგასო.

დატრიალდა სახრე, დასცხო და დასცხო ბატონს. მისი ყვირილი ცას სწვდებოდა. ბოლოს შეეცოდა იგი იანვარას. სახრე შეაჩერა, თავისი ნაჯახი წამოიღო სასახლიდან და მღვდლისაკენ გაეშურა. მღვდელი დიდხანს უარობდა: ღმერთს გეფიცები, შენი გუდა თვალით არ მინახავსო. მაშინ იანვარამ უბრძანა სახრეს და იგიც დატრიალდა. ბოლოს მღვდლის ყვირილით შეშინებულმა მღვდლის ცოლმა თვითონ გამოუტანა სასწაულმოქმედი გუდა და გადასცა იანვარას. იანვარა ბოლოს მელიქ-აღასთან გაემართა. მელიქ-აღა ყვიროდა:

— რის ჯამი, რა ჯამი, მამასახლისს დავუძახებ და ისევ დაგიჭერო!

მაშინ იამვარამ უბრძანა თავის სახრეს და სანამ ცოცხალმკვდარი არ დაეცა მელიქ-აღა, მანამ არ შეაჩერა ცემა. ბოლოს ნაბეგვი მელიქ-აღა ადგა და სასწაულმოქმედი ჯამი იანვარას გადასცა.

წამოვიდა იანვარა, წამოიღო სახრე, გუდა და ჯამი.

ამბობენ: იანვარა დღესაც ცოცხალია და მხიარულად ატარებს დროს თავის ოჯახშიო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი სკოლა

ანდრო თევზაძე

ორი თვეა არ ხმაურობს,
დგას მოწყენით, მარტოდმარტო,
როგორც დედა თავის შვილებს,
ისიც თავის შვილებს ნატრობს.

მაგრამ მალე გაიხარებს,
ჰა, ზაფხულიც მიიწურა;
დილდილობით მთის მწვერვალებს
შემოდგომის ნისლი ჰბურავს.

სად არ ჰყავდა გაგზავნილი,
მოიარეს მთა თუ ზღვები, —
ბრუნდებიან ბანაკიდან
მკერდმაგარი ყმაწვილები.

და ხვალ ისევ ჩვენი სკოლა
ნახავს თავის ბეჯით შვილებს,
გაიხარებს ყველაფერი,
კედლებიც კი გაიცინებს.

ცელქ გოგონებს, ცელქ ბიჭუნებს,
გულს ჩაკრავს, როგორც დედა,
შემდეგ ზარის წკრიალა ხმა
მერცხალივით აფრინდება,

და დიდ საქმეს დაიწყებენ,
და ექნებათ ერთი გრძნობა:
რომ ფრიადზე სწავლა არის
მოწაფეთა მამაცობა!

ზარმაცი

იოსებ იმედაშვილი

მოქმედნი:

დედა
ზარმაცი
ცალხელა
ცალთვალა
ცალფეხა

(ტყის პირი. ბილიკი. ხის ძირში წყარო გადმოჩუხჩუხებს. ფრინველთ ჟივილი).

დედა (კოკით. უკან გაცქერით): გამოიარე ჩქარა!

ზარმაცი (მოიზლაზნება): ეი, ქვეყანა ინგრევა, თუ რა ამბავია?

დედა: არა და შენ გიცდის! ფიჩხი მოაგროვე, მე კოკას ავავსებ.

ზარმაცი: მერე, მე მაგდენი შემიძლია? რა ხარაბუზასავით შემომჩენიხარ, არ გეცოდები?!

დედა: აი საწყალი! ოი, მიწამ გიყოს პირი, შე მართლა და საცოდავო, შენა! ნეტავი როდის იქნება, შენ ცქერას მოვრჩე!

ზარმაცი: ნუ მიცქერი, რა... ვინ გეხვეწება

მიცქირეო...არ გეზარება, რო მიცქიროო? (ჩამოჯდება).

დედა: ბიჭო, გეუბნები ფიჩხი მოაგროვე — მეთქი, ფიჩხი, შე გასაფიჩხებელო!

ზარმაცი: ფიჩხი? რად გინდა ფიჩხი!

დედა: კიდევ მათქმევინე: რომ გითხარ, თონე უნდა გავახურო, რომ პური გამოგიცხო, პური! დაგიდგეს ყური!

ზარმაცი: აბა სად არის ფიჩხი?!

დედა: მიდექ-მოდექ, მოძებნე!

ზარმაცი: მაგის თავი სად მაქვს! (გადაწვება გულაღმა) ახლა მაგაზე ვეთრიო ჭალაში: ხეს გავეხახუნო, სახე დავიკაწრო, ან ფეხი წამოვკრა! რა საქმე გამიჭირე!

დედა: არ გამოგელიოს ჭირი და ვაება, როგორც შენ სიზარმაცის მიზეზი არ გელევა... წისქვილში მაინც ჩაირბინე და ფქვილი ამოიტანე, — დაფქვავდნენ კიდეც.

ზარმაცი: ახლა წისქვილი! მაგის წელი მაქვს?! ბარემ სახედრად გადამაქციეთ, რაღა!

დედა: ღმერთო, ღმერთო, რატომ მუცელშივე არ გამიწყალდი, ვიდრე გშობავდი!

ზარმაცი: რა დაგიშავე, რა, ვინ გეხვეწებოდა მშობეო!

დედა: ამ გასაქრობს უყურეთ, რა ენა-პირი აქვს!

ზარმაცი: ჰო, აგრე დამწყევლე და როცა მაგით მოიგო, მაშინ დაიკვეხე... შენ დედა კი არა, დედინაცვალი ხარ... დედინაცვალიც არა... გაგონილა! ალარ დამასვენებ?!

დედა: ერთი ამას შეხედეთ: დამასვენეო! როდის იყო, რომ მუშაობით ოფლი გდიოდა?!

ზარმაცი: დილაადრიან დამადგები თავზე და „ადე, ადე!"

დედა: (გაოცებული) „დილაადრიანო"-აი, დილა არ გაგითენდეს... მზე გადიწვერა, სამხრობა მოვიდა, და შენთვის ჯერ კიდევ დილაა, შე მზეგასაქრობო?!

ზარმაცი: მა რა არი? ჯერ არც კი გამომიძინია! (მიწვება).

დედა: (გაოცებული): ხალხო, ჯამაათნო, არ გებრალებით ამის გადამკიდე? ეს რა ცეცხლი გამიჩნდა!

ზარმაცი: დედის პირი იწყევლება, ძუძუები ილოცება!

დედა: ნეტა რა გეშველებოდა, ეგ ენა რომ არ გქონოდა! (კოკას წყაროს ღარს შეუდგამს) კოკას ყური უგდე, არ წაიქცეს; აივსოს თუ არა, სახლში აარბენინე და საპურე ყურიანი ქვაბით წყალი შედგი ცეცხლზე, სანამ მე ფქვილს ამოვიტან...

ზარმაცი: ახლა ეგა! გინახავთ ამისთანა ადამიანი! აბა თუ ერთი ჩამომეხსნა, გემოზე გამოვიძინო! (ხელებს თავქვეშ ამოიდებს, ლაჟვარდ ცაში ღრუბლებს შესცქერის).

დედა: (კოკას წყაროს ღარის ქვეშ ასწორებს): დაიხსომე, რაც გითხარ: სანამ ფქვილს ამოვიტან, წყალი თბილი დამახვედრე, რომ ცომის მოზელა არ დამიგვიანდეს. (გადის).

ზარმაცი: (სივრცეში იცქირება): შენც კარგად აიტან წყალს! ფქვილი ამოიტანე, მერე კოკა აიტა... შენ რომ კარგი ადამიანი იყო, განა ასეთ მდევივით ვაჟკაცს ზურგზე კოკა უნდა ამაკიდვინო. ვინ რას იფიქრებს! შენც იტყვი დედა ვარ და დედისერთა შვილი მყავსო... ვაი, შენისთანა დედას რა უთხრა! (გარინდებული ცისკენ შემაცქერალი ღიღინებს (კოკა წაიქცევა და გატყდება, წყალი მიჩხრიალებს).

ცალხელა: გამარჯობა!

ზარმაცი: (გაჭიანურებით): გااااგიმარჯოს!

ცალხელა: რა დაგემართა, ბიჭო, ავად ხომ არა ხარ, რომ ამ სამუშაო დღეს ცდენ? საქმე არაფერი გაქვს?

ზარმაცი: ავად რად ვიქნები ან უსაქმოდ? აგერ, ვერ ხედავ, კოკას ვავსებ.

ცალხელა: კარგი მოგივა, კარგა შენ ავსებ... ეს კოკა კი არა, კოკის ნამსხვრევებია!

ზარმაცი: გატეხილა?

ცალხელა: არა, გამთელებულა! (ცალი ხელით პირზე წყალს შეიშხაპუნებს, მერე ცალი მუჭით სვამს): იფ, იფ, რა წყაროა! დაილოცა შენი გამჩენი!

ზარმაცი (ისევ ისე უზრუნველად): გატეხილა! მერე ვინ გატეხა?

ცალხელა: კარგმა პატრონმა.

ზარმაცი: თავში ქვა იხალოს პატრონმა,—კოკის პატრონი მე ხომ არა ვარ, დედაჩემია!

ცალხელა: ნეტავი დედაშენსა, აგეთი მარგალიტი შვილი ჰყოლიხარ! (წყაროსთან ჩამოჯდება).

ზარმაცი: ეჰეი, არ მოგწონვარ?!

ცალხელა: (კვლავ ცალი მუჭით წყალსა სვამს): უჰ, რა წყაროა! ღარი კი არ უვარგა,—ნეტავი ორი ხელი მქონდეს, უკეთეს ღარს გავაკეთებდი, გამვლელ-გამომვლელი უფრო ადვილად დალევდა, შენც უფრო ადვილად დალევდი, მეც უფრო ბევრს და ჩქარა დავლევდი!

ზარმაცი: რადა?

ცალხელა: მკითხველს რომ თავი ეჭცეს ქვადა! მერე აქედან არხს გავჭრიდი, წყალს გავიყვანდი და. აგერა, ფერდოში რომ ლობიო მოურწყაობით ხმება, მოვრწყავდი!

ზარმაცი: რადა?

ცალხელა: შენისთანა ზარმაცს რომ თავი ეჭცეს ქვადა... მერე ამ წყაროთი მორწყული მიწა რა გემრიელ ლობიოს მოიყვანდა! (კიდევ დალევს) უჰ, უჰ! სწორედ უკვდავების წყაროა! (წამოდგება წასასვლელად).

ზარმაცი: ძმობილო, ერთი წყალი დამალევინე!

ცალხელა: რითი?

ზარმაცი: აი, კოკის ნატეხით!

ცალხელა: შე ოჯახქორო, აქამდე ველარ მოჩოჩდი, რომ დაეწაფო?

ზარმაცი: ახლა რა დიდი ცოდვა იქნება, წყალი მომაწოდო, ვერა ხედავ, წელი მტკივა!

ცალხელა: ოჰ, შე მუქთახორა! მეორე ხელიც უნდა მქონდეს, რო მთა-გორი გადავაბრუნო, უწყლოს წყალი ვადინო, მწირ ადგილზე ბაღი გავაშენო! (მიდის).

ზარმაცი: რა თქვა?! „მეორე ხელიც უნდა მქონდესო!“ (ორივე მკლავს ასწევს) მე კი ორივე ხელი მაქვს... (ხან ერთს გაიქნევს, ხან მეორეს) არა, ორივე ჯანმრთელია, არც ერთი არ არის დამბლადაცემული.

ცალთვალა: (მომავალი ფიჩხისა და შეშის გროვებით): ისე არ დაილევა ტყე, რომ ჩემისთანა საწყალი ცალთვალასთვის არაფერი გაიმეტოს (კონად შეჰკრავს). ერთი წყლითაც გავიგრილო გული! (კონის მოთრევით) რა სულიერი ხარ, ცოცხალი თუ მკვდარი?

ზარმაცი: ვერა მხედავ?

ცალთვალა: სწორედ იმიტომ გეკითხები, რომ გხედავ! შრომის ზარი ცემს, თითოეული ნაბიჯი ბედნიერებასა ჰქმნის, ყოველი მიდგომ-მოდგომა სიცოცხლის ხალისსა, და შენ რა დაგმართია?

ზარმაცი: ნეტავი არ გეზარება, რომ ასეთ-რუნებ?

ცალთვალა: (ცალი თვალით აცქერდება); მართალია, შენისთანა ლეშისათვის ადამიანმა ენა არ უნდა მოაცდინოს. (ფიჩხის კონას დააგდებს, წყაროზე ხელებს დაიბანს და ორივე ხელის მუჭით რამდენჯერმე მოსვამს, ჩამოჯდება, უბიდან წიგნს ამოიღებს და იზეპირებს). „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურებდეს“ (ორჯერ).

ზარმაცი: ეგ რას ბუტბუტებ?

ცალთვალა: ყურთ ხომ არ გაკლია, ვერა ხედავ, გაკვეთილს ვსწავლობ—ლექსს ვიზეპირებ.

ზარმაცი: როგორ, ფიჩხს აგროვებ და თან ლექსს იზეპირებ?

ცალთვალა: მაშ ხომ არ მოვცდები? ნუ მიშლი! შესვენების დროს დავიზეპირებ კიდეც! (განაგრძობს სწავლას).

ზარმაცი: ნეტავი შენა, არ გეზარება!

ცალთვალა: გეტყობა, ტვინს ობი გეფარება! სწავლა თუ დასაზარებელია, მაშ უსწავლელობაა სახალისო? (იმეორებს).

ზარმაცი: (ამთქნარებს): უჰ, რა გვიან ღამდება, დამეძინოს მაინც.

ცალთვალა: (ერთსაც გაიმეორებს უწიგნოდ): ესეც მოვრჩი, ახლა წავალ, არ დამიგვიანდეს! (კონას მოიკიდებს).

ზარმაცი: (კონას შესცქერის): ეს ფიჩხი სად იშოვე?

ცალთვალა: (გაოცებული, ჯიბრით): მოუსავლეთში. როგორ თუ სად? ვერა ხედავ ტყესა? მიიხედ-მოიხედე, მიტრიალდ-მოტრიალდი და... (კიდევ დალევს, შემდეგ გაიხედავს) ოჰ, რა მშვენიერია არე-მიდამო, ტყე, წყარო, მთები, გორები! ოხ, ნეტავი მეორე თვალიც მქონოდა, მაშინ მთელ ქვეყნიერებას დავინახავდი, უფრო ჩქარა ბევრს ფიჩხს მოვკრებდი და ჩემს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა! (მიაქვს ფიჩხის კონა, თან ლექსს იმეორებს ზეპირად).

ზარმაცი: (გადახედავს): რაიო, ორი თვალიო! (თვალებზე ხელს მოისვამს, ცალ თვალზე დაიფარებს, მერე მეორეზე, ისევ ორივეთი გაიხედავს) მე ხომ ორივე თვალით ვხედავ! ვაი დედიჩემის ღმერთსა,—რაც სხვას ენატრება, თურმე მე მქონია, მაგრამ... (შენიშნავს მომავალს).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პეტრე ბაგრატიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხ. მამულაშვილი

საქართველო ძველთაგანვე გმირების ქვეყნად ითვლებოდა. ჩვენს სამშობლოში ბევრი ისეთი შესანიშნავი მებრძოლი დაბადებულა, რომელთა სახელებს მთელი მსოფლიო იცნობს. ეს თავდადებული ადამიანები თავგამოდებით იცავდნენ საკუთარ მიწაწყალს უცხოეთიდან შემოსეული ყოველგვარი დამპყრობლებისაგან. ძველად საქართველო მტრულ ქვეყნებით იყო გარემოცული. ყველა ცდილობდა ჩვენი მდიდარი და ლამაზი მხარის დაპყრობას, აოხრებას, ჩვენი ხალხის დარბევასა და გადაგვარებას. და აი, ქართველ ხალხს თავისი წრიდან რომ არ წარმოეშვა ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ ვახტანგ გორგასლანი, თამარი, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე, პატარა კახი და მრავალი სხვა გმირი, ახლა საქართველოსა და ქართველების ხსენებაც, ალბათ, აღარსად იქნებოდა.

ქართველი გმირების სამოქმედო ასპარეზს ყოველთვის საქართველო როდი წარმოადგენდა. უკუღმართი ბედი მათ ხშირად აშორებდა თავის სამშობლოს, ხალხს და უცხო მხარეებში გადაჰკარგავდა ხოლმე, მაშინ, როდესაც მათ ქვეყანას თითოეული ასეთი გმირი აურაცხელ ფასად უღირდა. აი, მაგალითად, ისტორიიდან ცნობილია, რომ შორეულ საფრანგეთში, ნაპოლეონის არმიაში, თავგამოდებით იბრძოდა ქართველი გმირი როსტომი, რომელიც ნაპოლეონის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. გმირი ქართველი ხალხის შვილმა საქართველოს გარეთაც უჩვენა თავისი პირადი თვისებები, ასახელა თავისი ხალხი, თავისი ქვეყანა. მაგრამ იგი მოკვდა უცხოეთის ცის ქვეშ, მოკვდა ისე, რომ სიკვდილის წინ ვერც კი იხილა თავისი სანუკვარი სამშობლო. პარიზში შემთხვევით გავლილი მოგზაური თუ ნახავს მის ობოლ საფლავს და გვირგვინით შეამკობს სხვათა ქვეყანაში გადაკარგული თანამემამულის სამარეს.

ასეთივე ბედი ეწია მეორე შესანიშნავ ქართველს პეტრე ბაგრატიონს. იგი ბავშვობიდანვე რუსეთში მოხვდა, იქ აღიზარდა, დავაჟკაცდა, მიიღო სამხედრო განათლება და ამ ქვეყანასვე შესწირა თავისი უდიდესი ნიჭი და უნარი. ბაგრატიონმა მეტად შეიყვარა რუსი ხალხი, რუსეთი მისი მეორე სამშობლო გახდა. ეს სიყვარული მან დაამტკიცა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე და ბოლოს აქვე ჰპოვა თავის უკანასკნელი ბინაც — გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

*

პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი საქართველოს სამეფო გვარეულობის შთამომავალი იყო. იგი დაიბადა საქართველოში 1765 წელს. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. ნათესავების რჩევით, ჭაბუკი პეტრე მიდის რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად. აქ მან აირჩია სამხედრო სასწავლებელი, მიიღო სამხედრო განათლება და სიკვდილამდის ამ საქმეს ერთგულად ემსახურებოდა.

სამხედრო სამსახური ბაგრატიონმა 1782 წელს დაიწყო. 17 წლისა იყო, როდესაც სერჟანტად (უმცროს მეთაურად) დანიშნეს კავკასიის მუშკეტერთა ლეგიონში. მალე, ჩრდილოკავკასიაში ერთ-ერთი ბრძოლის დროს, იგი მძიმედ დაჭრეს და უპატრონოდ მიატოვეს მინდორზე. აქ მას ქართველი მთიელები დაეხმარნენ და სიკვდილს გადაარჩინეს.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბაგრატიონს არაერთი ბრწყინვალე ბრძოლა გადაუხდია, რომელთა დიდი ნაწილი თავის თავის სასარგებლოდ დაუმთავრებია.

განსაკუთრებით ისახელა თავი ალპებზე გადასვლის მოწყობით და, ბოლოს, ნაპოლეონთან ბრძოლაში, სოფელ ბოროდინოსთან, სადაც მან, მიუხედავად დიდი გმირობისა, ვერ დაიცვა თავი ფრანგების ზარბაზნებს და ვაჟკაცურად მოკვდა ბრძოლაში.

მეტად საინტერესოა ამ ლეგენდარული ადამიანის ცხოვრება. მე მინდა მოგითხროთ მისი ბრძოლებიდან ორი მომენტი, ერთი — როგორ მოახერხა მან ალპებზე გადასვლა, და მეორე — ნაპოლეონთან ბრძოლების შესახებ.

აი როგორ მოაწყო ალპებზე გადასვლა:

საფრანგეთის მიერ დაპყრობილი იტალიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასანთავისუფლებლად, სხვა მოკავშირეებთან ერთად, რუსების არმიაც წავიდა. იტალიაში ბაგრატიონის ბრწყვინვალე გამარჯვებების შემდეგ, რუსების ჯარები შვეიცარიისაკენ გაემართნენ და პირდაპირ ალპის მთებს მიადგნენ. არმიის სარდალი სუვოროვი არ იცნობდა ალპებზე გადასვლის პირობებს, იგი მთლიანად მიენდო მოკავშირე ავსტრიელების გამოცდილებას. სამი გზა იყო შვეიცარიაში გადასასვლელად: ორი მათგანი შედარებით ადვილი იყო, მესამე, თითქმის მიუვალი, სენ-გოტარდის გადასასვლელზე გადადიოდა. გარდა ამისა, ეს მესამე გზა ფრანგების მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ავსტრიელებმა სუვოროვს ეს უკანასკნელი გზა ურჩიეს.

1799 წლის 10 სექტემბერს დაიწყო რუსთა მხედრობის ისტორიული ლაშქრობა შვეიცარიაზე. ბაგრატიონი ჯარს წინ მიუძღოდა. მას ყველაზე ძნელი გზა ედო წინ: ხშირად უხდებოდა ჩასაფრებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა. გზა მეტად საშიში და სახიფათო იყო. მთებში მიმავალი ვიწრო და საშინელი ბილიკი მეტისმეტად უძნელებდა ჯარისკაცებს მოძრაობას. მაგრამ ყველაფერს ბაგრატიონის გამოცდილებამ სძლია. იგი, როგორც საქართველოს მთებში ნაჩვევი, ადვილად იკვლევდა გზას და მხედრობასაც ამხნევებდა.

ჯარი მთელი დღეებისა და ღამეების განმავლობაში შეუსვენებლივ მიიწევდა წინ.

გადასვლის მესამე დღეა. ირგვლივ ნისლი ჩამოწვა. ხუთ ნაბიჯზეც აღარაფერი ჩანს. წვიმა და თოვლი ერთმანეთს ცვლის. გაძლიერებული ქარიშხალი ფეხზე აღარ აჩერებს ჯარისკაცებს.

ისმის ბაგრატიონის ომახიანი შეძახილი:

— დადექ!

ჯარისკაცები ჩერდებიან, თოფებს ძირს უშვებენ, ცეცხლს აჩაღებენ. ისმის რუსული სიმღერა. მთების გამოძახილს შორს მიაქვს ნაღვლიანი ხმები.

ბაგრატიონი ამ დროს თავისი საქართველოს მთებზე ფიქრობდა: როგორ ჰგავს ეს ალპები კავკასიონის ჭაღარა ქედებს! ნაცრისფერი ცა, ალპებზე გადმოხურული, სადღაც უერთდება მთის მწვერვალებს...

განთიადის პირველი გამოჩენა ყველაზე ადრე ბაგრატიონს აღვიძებს, კვლავ წინსვლა იწყება. საშინელი კლდეები. უფსკრულთა ვიწრო კიდეზე გაყვანილი ბილიკები; ჯარისკაცები თავს ვერ იმაგრებენ და ხრამში ცვივიან...

პეტრე ბაგრატიონი

დილით დანიშნული იყო შეტევა სენ-გოტარდზე, სადაც ფრანგები იყვნენ დაბანაკებული. რუსთა ლაშქარმა წარმატებით გადაიარა სენ-გოტარდი და მტრის ცეცხლის ქვეშ გადავიდა ეგრეთწოდებულ „ეშმაკის ხიდზე". ეს მართლაც რომ ზღაპრული ხიდი გადებული იყო ხრამზე 75 ფუტის სიმაღლეზე. ასეთ შემაძრწუნებელ გადასასვლელზე გადასვლისათვის საჭირო იყო არაჩვეულებრივი მამაცობა და გამბედაობა. ჯარისკაცები ცვივოდნენ უფსკრულში, მაგრამ ბაგრატიონის რაზმის წინსვლას მაინც ვერაფერი აჩერებდა.

ბუნების სტიქიონი გადალახული იყო. უდიდესი დაძაბულობით დაასრულა რუსთა ლაშქარმა ალპებზე გადასვლა, რითაც მან შეძლო თავი დაეღწია მტრული გარემოცვიდან.

„ეშმაკის ხიდზე" გადასვლამ მთელი მსოფლიო აალაპარაკა. ბაგრატიონის სახელი ყველას პირზე ეკერა.

*

არა ნაკლები გმირობა გამოიჩინა ბაგრატიონმა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოფელ ბოროდინოსთან, მოსკოვის ახლოს.

... 6 და 7 სექტემბერს ღამით ბაგრატიონის ჯარები ბოროდინოს ველზე ისვენებდნენ. სასტიკი ქარი ქროდა. შორს, სიბნელეში, ნაპოლეონის არმიის დაბანაკების ადგილიდან ცეცხლის შუქი მოჩანდა. ნაპოლეონს გეგმაში მთავარი დარტყმა ბაგრატიონის არმიაზე ჰქონდა განზრახული. რვაჯერ მიიტანეს ფრანგებმა იერიში ბაგრატიონზე, მაგრამ რვაჯერვე სასტიკ-

ად იქნენ უკუქცეულნი, რაც მათს არმიას დიდ ზარალს აყენებდა...

დაიწყო რუსთა შეტევა. სოფელი სემიონოვსკაია ალში იყო გახვეული. ფრანგები კვლავ იერიშზე გადმოვიდნენ. მტრის 46 ათასი ჯარისკაცის წინააღმდეგ ბაგრატიონმა მხოლოდ 18 ათასის გაყვანა შეძლო.

როდესაც მან დაინახა, რომ მოწინააღმდეგე ბრძოლას იგებდა, ბრძანება გასცა გადასულიყვნენ შემხვედრ ბრძოლაზე.

მოულოდნელად ბაგრატიონი ცხენიდან ჩამოვარდა. იგი შეეცადა თავისი ჭრილობის დაფარვას და ადგომა მოინდომა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ისევ დაეცა: ჭრილობა მძიმე იყო და გმირი სარდალი ბრძოლის ველიდან გაიტანეს.

იგი იწვა სემიონოვის ბორცვზედ და თვალებით შეჰყურებდა კვამლით მოცულ მინდორს. იმდენად იყო ბრძოლის ჟინით გამსჭვალული, რომ ვერ ამჩნევდა, როგორ ხდიდნენ ტანისამოსს. ბაგრატიონს, სისხლის დაკარგვისაგან დასუსტებულს, აღარ შეეძლო ჯდომა. მასთან მივიდა შტაბის უფროსი. ბაგრატიონმა უჩვენა რა ბრძოლის ველზე, ჩურჩულით უკარნახა თავისი უკანასკნელი ბრძანება.

ბოროდინოს ველზე ფრანგებმა ვერ შეძლეს რუსის ჯარისკაცთა სიმტკიცის გატეხა, მაგრამ ნაპოლეონის ჯარები მაინც შევიდნენ მოსკოვში. რუსეთის მიწის დაცვა ბაგრატიონის ცხოვრების მიზანს შეადგენდა. საქართველოს ერთგულმა შვილმა მთელი თავისი სიცოცხლე ამას შესწირა და უკანასკნელი განსასვენებელიც ბოროდინოს ველზე ჰპოვა...

იგი გარდაიცვალა 1812 წლის 24 სექტემბერს.

საყურადღებოა, რომ ბაგრატიონი ამ ბრძოლაში მარტო არ იყო. მას მხარს უმშვენებდნენ სხვა ქართველებიც: კავალერიის გენერლები ფანჩულიძეები, პოლკოვნიკი იოსელიანი, გენერალი იაშვილი და სხვა.

რუსეთის მიწის დაცვა ამ გმირებს თავიანთ სასიცოცხლო საქმედ ჰქონდათ გადაქცეული.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირად ცხოვრებაში ბაგრატიონი ტიპიური ქართველი იყო: შუათანა ტანის, ხმელ-ხმელი, შავგვრემანი და ნამდვილი არწივისებური ცხვირით. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ცხოვრება რუსეთში გაატარა, ხასიათითა და ქცევით ადვილად მიხვდებოდა კაცი მის ქართველობას. ეს უშიშარი და წარბშეუხრელი სარდალი მეტად ხუმარა, მხიარული და ენამოსწრებული ყოფილა. მის თანამედროვეთა გადმოცემით, ბაგრატიონი თურმე ყველაზე მწვავე და გართულებულ წუთებშიც კი არ წყვეტდა თავის ჩვეულ ხუმრობას. არსებობს ერთი საინტერესო გადმოცემა, რომელიც მის მხიარულ ბუნებას მკაფიოდ ახასიათებს:

ერთხელ, მეტად გართულებული სამხედრო მდგომარეობის დროს, ბაგრატიონთან გამოცხადდა მისივე ადიუტანტი დენის დავიდოვი და მოახსენა:

— მთავარსარდალმა ბრძანა — მოწინააღმდეგე ჩვენს ცხვირწინ არის და დაუყოვნებლივ უნდა დაიხიოთო.

ბაგრატიონმა ასე უპასუხაა:

— როგორ, მოწინააღმდეგე ჩვენს ცხვირწინ არის? გააჩნია, ვის ცხვირზეა ლაპარაკი: თუ მას შენი ცხვირი აქვს ნაგულისხმევი, მაშინ დავღუპულვართ, და თუ ჩემი — თავდაცვას კიდევ მოვასწრებთ.

მუდამ მხიარული ბაგრატიონი ასეთ წუთებშიც კი არ იშლიდა თავის ჩვეულებას. ამ ხუმრობის დროს მას მხედველობაში ჰქონდა თავისი არწივისებური ცხვირი, რომელიც მკვეთრად ასხვავებდა სხვა სარდლებისაგან.

ასეთი იყო იმ ადამიანის ცხოვრება და ბრძოლები, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის დაცვას შესწირა.

კაკლის ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ჯყეშელაშვილი

— ოჰ, ოჰ! — ოხრავს ატმის ხე.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა ალუბალი.

— მომსპო კაკლის ხემ, მომსპო. დილიდან შუადღემდის მის ჩრდილში ვარ გახვეული, ამიტომაც გამოვედი ასე სუსტი, ყვავილი უფერული მაქვს, ხილიც უგემური.

— მეც შენს დღეში ვარ: შენ რომ მოგშორდება მისი ჩრდილი, მერე ჩემზე გადმოდის, დალამებამდის კაკლის ჩრდილის ნაბადში ვარ გახვეული.

— ჩვენც, ჩვენც გვჩრდილავს! — აშრიალდნენ ბალი, ქლიავი, ვაშლი და სხვა ხეებიც. — ვთხოვოთ ჩვენს პატრონს, მოჭრას ეს ბებერი ახმახი, მაშინ ჩვენ შევძლებთ უფრო მეტი და კარგი ხილი მივცეთ, სტუმრებთან სუფრა დავუმშვენოთ, ვასახელოთ.

— ჩვენი ხილი რა ცუდია? — წყნარად შენიშნა წაბლის ხემ.

— შენი, კაკლისა და თხილის ხილი სარდაფში დამალოს და მათგან ზეთი გამოხადოს, — დაცინვით შენიშნა წითელლოყება ვაშლმა.

— შეჩერდით, — დინჯად წარმოთქვა კაკლის ხემ. — ხილზე ნუ იქნება ლაპარაკი. ხილი ყველა კარგია თავის დროზე და თავის ადგილზე.

— მართალს ამბობს კაკლის ხე, — შენიშნა წაბლმა, — ყველა ხილი კარგია თავის ადგილას, მაგრამ თხილის, განსაკუთრებით კი კაკლის ზეთი ყველა ხილზე უფრო ძვირფასია. თქვენ ახმახ და ბებერს უწოდებთ, რადგან არ იცით, როგორ დიდხანს ძლებს იგი. მაგან რამდენიმე თქვენი თაობა გამოიცვალა, კიდევ ბევრს გამოიცვლის. კაკლის გული უძვირფასესია ავეჯისათვის, მისგან მუსიკალურ იარაღებს აკეთებენ.

— შენ დაგავიწყდა, — სიტყვა ჩამოართვა უნაბმა, — რომ კაკლის ხე დიდი მებრძოლია. მე პაწაწინა ვიყავი, რომ სოფელს დიდმა გრიგალმა გადაურბინა. ტოტებს ლაწალუწი გაჰქონდა, ძირიანა იგლიჯებოდა ვეებერთელა ხეები. დედაჩემი თავზე დამეცა, მე ტოტებშუა მოვხვდი და გადავრჩი. მახსოვს, როგორ არხევდა კაკლის ხე ღონიერ ტოტებს, თითქოს ხმლით იგერიებდა მტერს. ბოლოს გრიგალმა გადაიარა. სახლის პატრონი გარეთ გამოვიდა, დაინახა, რომ ხილი დაბლა გაფენილია, ხეები დამტვრეულა, მხოლოდ კაკლის ხე დგას უვნებლად.

— ჰე, ჰე, — ამოიოხრა ჩვენმა პატრონმა. — დიდი ზარალი ვნახე; კიდევ კარგი, ცოცხალი რომ ვარ, ამას ჩვენს კაკლის ხეს უნდა ვუმადლოდე, ეს რომ ახლოს არ ყოფილიყო, გრიგალი სახლის სახურავს აგლეჯდა, ან მთლად დაანგრევდა მოძველებულ ოდას.

ხეებს შერცხვათ თავიანთი საქციელისა, თავი დახარეს. ხანდახან შესცქეროდნენ კაკლის ხეს და თითქოს ბოდიშს იხდიდნენ. შემდეგ ჩუმად აშრიალდნენ და საუბარი გამართეს კაკლის ხის გმირობის შესახებ.

კაკლის ხემ ყური მოჰკრა მათ საუბარს და დინჯად წარმოთქვა:

— მაშ, ჩემს ირგვლივ შემოიკრიბეთ, საერთო ძალით ზურგი გავუმაგროთ ჩვენს პატრონს და ისიც მეტი ყურადღებით მოგვეპყრობა. უერთმანეთოდ არ ვარგივართ, ჩვენ ყველანი ძმები ვართ, თანასწორუფლებიანი. ჩვენი მოვალეობა, ბუნების მიერ დაკისრებული ვალდებულებანი პირნათლად შევასრულოთ.

მთელი ბალის ხეხილი აშრიალდა უდიდესი კმაყოფილებით, მოეწონათ კაკლის ხის მამობრივი საუბარი და თანხმობის ნიშნად კენწეროები შეათამაშეს.

ფასი 50 კაპ.

22009
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვალ თუ ომი იქნება

ხვალ თუ ომი იქნება
ვერაგ მტერთან საჭირო,
თუ მშრომელთა მჩაგვრელი
ჩვენთან ბრძოლას აპირობს,—
ჩვენც იარაღს ავისხამთ,
უქმად არვინ დავრჩებით
და დიდებთან ვიბრძოლებთ
ჩვენ, პატარა ბავშვებიც.
ხვალ თუ ომი იქნება
დიდ სამშობლოს საზღვართან,
მტკაველ მიწას არ დავთმობთ,
დროშას მაღლა აღვმართავთ;
ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ
თვითმფრინავით, ტანკებით,
ბრძოლის ველზე საომრად
ჩვენც უკლებლივ გავჩნდებით.

ხვალ თუ ომი იქნება
ზღვაზე წითელ გემებით,—
ერთსულოვნად ვიბრძოლებთ
ჩვენი ქვეყნის ერები;
ვიბრძოლებთ და გმირულად
მტკიცე საზღვრებს დავიცავთ,
დავამარცხებთ მტერს ისე,
დაავიწყდეთ თავიცა!
ხვალ თუ ომი იქნება
ზღვაზე, მთებში თუ ველად,
ჩვენს სამშობლოს დავიცავთ,
ვასახელებთ დიდ ბელადს,
გამოვიჩენთ გმირობას
ჩვენი ქვეყნის საზღვართან,
დროშას თავისუფლების
საზღვარს იქით აღვმართავთ!

ვანო მათიაშვილი

ოქტომბრელთა სიმღერა

ჩვენ სტალინის მზეში ვყვავით,
ჩვენ სტალინმა მოგვცა ძალა
და მის მიერ დარგულ ყვავილს
დღეს კოკორი გაეშალა.
ახალ მზეში დავიბადეთ,
ამოვყევით ნათელ სხივებს;
ჩვენს დედ-მამებს უწოდებენ
ბრძოლისა და შრომის გმირებს.

დღეს სხვარიგად გვიხარია,
დღეს სხვარიგად გვიცემს გული,
ოქტომბრული სიმხნე მოგვაქვს
და ხალისიც ოქტომბრული.
ჩვენ სტალინის მზეში ვყვავით,
ჩვენ სტალინმა მოგვცა ძალა
და მის მიერ დარგულ ყვავილს
დღეს კოკორი გაეშალა!

სტეფანე არლუთელი
სოფ. ველისციხის (გურჯაანის რაიონი)
საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.